



**სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ფაკულტეტზე ჟურნალ "ფიროსმანის" მთავარი რედაქტორის, მწერალ ფარნა ჩილაშვილის (ჩილოღლუს) შემოქმედებითი საღამო გაიმართა**

2010 წლის 30 აპრილს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ფაკულტეტზე თურქეთში მოღვაწე ქართველი მწერლის ფარნა ჩილაშვილის (ჩილოღლუს) შემოქმედებითი საღამო გაიმართა. ფარნა ჩილაშვილს (ფაჰრედინ ჩილოღლუს) საქართველოში იცნობენ როგორც მწერალს, პუბლიცისტსა და მთარგმნელს. გარდა ამისა, სათავეში უდგას ქართულ-თურქული ჟურნალის გამოცემას. მისი ლექსები, ნოველები და თარგმანები კარგა ხანია პოპულარული გახდა ქართველი მკითხველისათვის.

განათლების ფაკულტეტის სტუდენტებმა მხატვრულად წარმოაჩინეს პოეტის შემოქმედების საუკეთესო ნიმუშები. განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა ნოველამ "უჩინმაჩინი" და "სამშობლო ხარ ჩემი", რომლებშიც კარგად იგრძნობა მწერლის დამოკიდებულება ისტორიული სამშობლოსადმი.

პოეტს მისალმნენ და შემოქმედებითი წარმატებები უსურვეს განათლების ფაკულტეტის დეკანმა პროფ. ლია ახალაძემ, პროფესორებმა: როზეტა გუჯეჯიანმა, ბროლისა წულაიამ, რუსუდან ფიფიამ, სტუდენტებმა თეონა გორდეზიანმა, ნათია გაფრინდაშვილმა, ელენე ჩუბინიძემ და სხვებმა.

შემოქმედებითი საღამო მუსიკალურად გააფორმა დოქტორმა ლელა რეხვიაშვილმა და სტუდენტ გოგონათა ჯგუფმა ეკა კეპაშვილის, სალომე კაკავას, ქეთი ბიწაძის, თეონა გორდეზიანის, თამარ ბურდულის, მარიამ თვაურის, ნინო გელაშვილის მონაწილეობით.

დასასრულს ფარნა ჩილოღლუმ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს მადლობა გადაუხადა გულთბილი საღამოსა და მისი შემოქმედებისადმი გამოხატული დიდი ინტერესისადმი.